KA021752925948121

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-1032 24 / მარტი / 2021 წ.

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N83ა; ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N81-ის მიმდებარედ; ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N83ა-ს მიმდებარედ არსებული 15139 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის და „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1) ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N83ა; ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N81-ის მიმდებარედ; ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N83ა-ს მიმდებარედ არსებული 15139 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 01.18.09.003.098) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 14080000 ლარის ოდენობით.

2) ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 1 408 000 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 10000 ლარით.

3) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

4) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების დამატებითი სახელშეკრულებო (არასაპრივატიზებო) პირობად განისაზღვროს შემძენის მიერ საკუთარი ხარჯით საპრივატიზებო მიწის ნაკვეთსა და N 01.18.09.003.094 და N 01.18.09.003.096 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარე სასაზღვრო მიჯნაზე ან მის ნაწილზე ღობის რეკონსტრუქცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“ (შემდგომში - „საგანგებო სიტუაციების

მართვის სამსახური) შეთანხმებული პროექტისა და ვადების შესაბამისად, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით, საკუთარი ხარჯით საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.09.003.098) რეგისტრირებულ საზღვრებში არსებული დაურეგისტრირებელი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის (ელ. სადენის და სანიაღვრე არხ(ებ)ის) გადატანის/რეკონსტრუქციის განხორციელება.

5. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (დანართი თან ერთვის) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონის დადგენილი წესით.

6. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს საერთო - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონებად.

7. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე